თქვენი უმაღლესი განათლება TestDaF-ით იწყება

TestDaF
Test Deutsch als Fremdsprache



არ აქვს მნიშვნელობა, სად გსურთ უმაღლესი განათლების მიღება: TestDaF-ი გერმანიის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მიერ აღიარებულია როგორც ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

ფოტო: Claudia Radecke

TestDaF:
ენის სერთიფიკატი უმაღლესი განათლებისა და პროფესიისათვის

ყოველწლიურად 44 000-ზე მეტი ენის სერთიფიკატი გაიცემა: გერმანიაში სწავლის მსურველი უცხოელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ენის გამოცდა TestDaF-ია.

- TestDaF-ის გამოცდის ოთხივე ნაწილში TDN 4 დონის დადასტურებით თქვენ თითქმის ყველა აკადემიური სპეციალობის ყველა ფაკულტეტზე დაიშვებით.
- TestDaF-ის უფრო მაღალი დონე TDN 5 მხოლოდ რამდენიმე სამაგისტრო პროგრამისათვის დაგჭირდებათ.
- ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი აღიარებს აგრეთვე ერთ-ერთ უნარ-ჩვევაში TDN 3 დონესაც, თუ რომელიმე სხვა უნარ-ჩვევაში TDN 5 დონეს აჩვენებთ.
- ბევრი აკადემიური სპეციალობის შემთხვევაში საკმარისია უფრო დაბალი შედეგიც (მაგალითად, 4-ჯერ TDN 3).

დროულად მოიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, ენის რომელი დონე გესაჭიროებათ თქვენი სპეციალობისათვის. ეს ინფორმაცია იხილეთ თქვენ მიერ შერჩეული უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან **www.sprachnachweis.de.**

TestDaF-ი შეგიძლიათ აგრეთვე გამოიყენოთ როგორც ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (აკადემიურ) პროფესიასა და სამსახურში.
TestDaF-ის სერთიფიკატით თქვენ მარტივად შეძლებთ დამსაქმებლისა თუ კვლევითი დაწესებულებების დარწმუნებას გერმანული ენის ცოდნაში.

TestDaF-ის სერთიფიკატი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან იგი:

- უვადოა;
- ყველა სასწავლებლის მიერ აღიარებულია;
- ზუსტად აღწერს თქვენ ენობრივ შესაძლებლობას.

რას ამოწმებს TestDaF-ის გამოცდა?

TestDaF-ის გამოცდის ოთხ ნაწილში მოწმდება ის ენობრივი კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა თუ სამეცნიერო მუშაობისათვის.

დილაფრუზ რახიევა (22), უზბეკეთი:

გასულ წელს ჩავაბარე TestDaF-ის გამოცდა და ახლა ბოხუმის რურის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიას ვსწავლობ

თავიდან რამდენიმე ლექცია ძალიან გამიჭირდა, განსაკუთრებით პროფესიული ტერმინოლოგია და საუბრის ტემპი. არავინ მეკითხებოდა, გავიგე თუ არა, როგორც ეს მანამდე გერმანული ენის შემსწავლელ კურსებზე ხდებოდა. მაგრამ TestDaF-ის გამოცდისათვის მომზადებისას მიღებულმა ენობრივმა უნარ-ჩვევებმა სწავლა გამიადვილა. მაგალითად სტატისტიკის კურსებზე ხშირად მხვდება გრაფიკები და ცხადია წერაც ხშირად მიწევს. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდისა და უმაღლესში სწავლის დროს შეცდომების მიუხედავად გასაგებად წერა და საუბარია.

ფოტო: Foto: Stefan Grundmann

TestDaF-ის გამოცდის 4 საგამოცდო ნაწილი

რა უნდა შეგეძლოთ TestDaF-ის გამოცდისთვის:

წაკითხულის გაგება

3 წასაკითხი ტექსტი, 30 დავალება, 60 წუთი

თქვენ უნდა შეგეძლოთ საუნივერსიტეტო ყოველდღიურობის ამსახველი მოკლე ტექსტების წაკითხვა და მათი მოცემულ განცხადებებთან დაკავშირება: მაგალითად ლექციების სარჩევი, განცხადებები ან წიგნის რეცენზიები. ასევე უნდა შეძლოთ ზოგად და სამეცნიერო თემებთან დაკავშირებით გრძელი ტექსტების გააზრება, მნიშვნელოვანი გამონათქვამებისა და დეტალური ინფორმაციის შესახებ კითხვებზე პასუხების გაცემა.

მოსმენილის გაგება

3 მოსასმენი ტექსტი, 25 დავალება, 40 წუთი

თქვენ უნდა შეგეძლოთ ზეპირი ტექსტის გაგება: მოკლე დიალოგები, ინტერვიუები და მოხსენებები. ასევე უნდა შეძლოთ გრძელი მოსასმენი ტექსტის მთლიანი შინაარსისა და მნიშვნელოვანი გამონათქვამების გაგება და მათთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გაცემა.

წერის უნარ-ჩვევა

1 დასაწერი დავალება, 60 წუთი

თქვენ უნდა შეგეძლოთ კონკრეტული თემის შესახებ კოჰერენტული და კარგად სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა, მოცემული დიაგრამის ინფორმაციის აღწერა და შეჯამება. ასევე უნდა შეძლოთ შედარებების გაკეთება და თქვენი მოსაზრების დასაბუთება.

ლაპარაკის უნარ-ჩვევა

7 დავალება ზეპირ კომპეტენციაში, 35 წუთი

თქვენ უნდა შეგეძლოთ საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ტიპიურ სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება, ლექციის დროს საკუთარი აზრის გამოხატვა, თანაკურსელებისთვის რჩევის მიცემა ან დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა.

TestDaF-ის გამოცდის ენის დონეები

TestDaF-ის გამოცდის სამი დონე (TDN 3, 4 და 5) აღწერს იმ ენობრივ უნარ-ჩვევებს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის გესაჭიროებათ. ეს დონეები ენების საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოზე არის ორიენტირებული და როგორც თქვენ, ასევე იმ დაწესებულებებს, რომელთაც თქვენ ამ სერთიფიკატს წარუდგენთ, თქვენი ენობრივი ცოდნის შესახებ საერთაშორისოდ აღიარებულ ინფორმაციას აწვდის.

ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო

A		B		C	
Basic User		Independent User		Proficient User	
A1 Breakthrough	A2 Waystage	B1 Threshold	B2 Vantage	C1 Effective Proficiency	C2 Mastery

TestDaF-ის ენის დონეები (TDN)	TDN 3	TDN 4	TDN 5
	შესაძლებელი დამვება	გარანტირებული დამვება	

Foto: Lutz Kampert

TestDaF-ის გამოცდა ცდის სამართლიანად...

სამართლიანობა და ხარისხი TestDaF-ის ინსტიტუტის პრინციპებია

TestDaF-ის გამოცდის მკაცრად განსაზღვრული ფორმატი გაძლევთ დაცულობის შეგრძნებას გამოცდისათვის მომზადების პროცესში. თქვენ იცით, რას ითხოვს TestDaF-ი თქვენგან. TestDaF-ის ინსტიტუტი გამოცდის მსვლელობისას და თქვენი შედეგების შეფასებისას სამართლიანობის გარანტიას იძლევა.

TestDaF-ში იგივე რჩება

- სტრუქტურა
- დავალებების ტიპი
- მოთხოვნა
- გამოცდის მსვლელობა
- შეფასება

TestDaF-ი უნარშეზღუდული ადამიანებისათვის

TestDaF-ის გამოცდის ჩაბარება ფიზიკური (მხედველობის ან სმენის პრობლემები) და სწავლის (დისლექსია ან ყურადღების დეფიციტი) უნარების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაც შესაძლებელია. TestDaF-ის გამოცდის ჩატარება თქვენი საჭიროების მიხედვით მოხდება. დროულად აცნობეთ ამის შესახებ თქვენ მიერ არჩეულ საგამოცდო ცენტრს.

ფოტო: Lutz Kampert

… და საიმედოა

თითოეულ გამოცდაზე საერთაშორისო ხარისხის სტანდარტი გარანტირებულია

TestDaF-ი იცავს საყოველთაო და ზუსტ პრინციპებს



ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის დამტკიცება

TestDaF-ინსტიტუტი სამეცნიერო დაწესებულებაა. მუდმივი კვლევის შედეგად ხდება TestDaF-ის გამოცდის ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. TestDaF-ის გამოცდა გამჭვირვალეა.
ამით თქვენ სარგებლობთ: მოთხოვნები გამოცდაზე უცვლელი რჩება და თავად გამოცდა სამართლიანად ტარდება.

ხარისხის ნიშანი: Q-Mark

ენის ტესტების შემქმნელი ორგანიზაციების ევროპულმა ასოციაციამ (ALTE) TestDaF-ის გამოცდის ხარისხი დადებითად შეაფასა და ხარისხის ნიშანი („Q-Mark“) მიანიჭა:

Association of Language Testers in Europe: **www.alte.org**

ALTE Q217

შვიდი ნაბიჯი TestDaF-ის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის

www.testdaf.de ➡ მონაწილეებისათვის

1 მზად ხართ TestDaF-ის გამოცდისათვის? შეამოწმეთ თქვენი მზაობა TestDaF-ის ვებგვერდზე განთავსებული ტესტის დახმარებით.

2 მოემზადეთ TestDaF-ის გამოცდისათვის საფუძვლიანად:

- სავარჯიშო მოდელის დახმარებით: გამოცდის მსგავსი ორი მოდელი შეგიძლიათ აუდიო-მასალასთან ერთად იხილოთ, ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ TestDaF-ის ვებგვერდზე.
- „მინიშნებები და რეკომენდაციები“ გიჩვენებთ გზას, თუ როგორ გაართვათ თავი TestDaF-ის დავალებებს უფრო თავდაჯერებულად.
- სხვადასხვა საგამოცდო მოსამზადებელი მასალებით - ინფორმაცია ამ მასალების ჩამონათვალის შესახებ იხილეთ TestDaF-ის ვებგვერდზე.
- მოსამზადებელი კურსებით, მაგ. საგამოცდო ცენტრებში, უმაღლეს სასწავლებლებში ან გოეთეს ინსტიტუტებში.
- Deutsch-Uni Online (DUO) - ის მეშვეობით გაქვთ შესაძლებლობა ტრენერების დახმარებით მოემზადოთ გამოცდისათვის.

3 შეარჩიეთ საგამოცდო ცენტრი.

4 აარჩიეთ გამოცდის დღე. დაგეგმეთ დროულად და ყურადღება მიაქციეთ უმაღლესი სასწავლებლების განაცხადების მიღების ვადებს.

5 გაიარეთ ონლაინ-რეგისტრაცია TestDaF-ის ვებგვერდზე. შეინახეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის დამხარებითაც შეძლებთ თქვენი მონაცემების ადმინისტრირებას.

6 მიიღეთ დაწვრილებითი ინფორმაცია გამოცდის მსვლელობის შესახებ. TestDaF-ის ვებგვერდზე გაეცანით პასუხებს ხშირად დასმულ კითხვებზე, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება გამოცდამდე, გამოცდის მსვლელობისას და გამოცდის შემდეგ.

7 დადებითი შედეგი და სერთიფიკატი!

თქვენი შედეგები შეგიძლიათ გამოცდის დღიდან 6 კვირის შემდეგ TestDaF-ის ვებგვერდზე მონაწილის პორტალზე იხილოთ. ამისათვის დაგჭირდებათ მომხმარებლის სახელი და პაროლი. დაბეჭდილ და ხელმოწერილ სერთიფიკატს მიიღებთ თქვენ საგამოცდო ცენტრში.

ჩვენი საგამოცდო ცენტრები მსოფლიო მასშტაბით

- 500-მდე საგამოცდო ცენტრი თითქმის 100 ქვეყანაში
- TestDaF-ის მონაწილეები 150 ქვეყნიდან
- წელიწადში 44 000 მონაწილით ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური გერმანული ენის გამოცდა ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით მოცემულ საფეხურებზე

Afghanistan
Ägypten
Äthiopien
Albanien
Algerien
Argentinien
Armenien
Aserbaidschan
Australien
Bangladesch
Belarus
Belgien
Benin
Bolivien
Bosnien und Herzegowina
Brasilien
Bulgarien
Burkina Faso
Chile
China
Côte d'Ivoire
Dänemark
Deutschland
Ecuador
Estland
Finnland
Frankreich
Georgien
Ghana
Griechenland
Großbritannien
Guatemala
Hong Kong
Indien
Indonesien
Iran
Island
Israel
Italien
Japan
Jordanien
Kamerun
Kanada
Kasachstan
Kenia
Kirgisistan
Kolumbien
Kosovo
Kroatien
Lettland
Litauen
Luxemburg
Madagaskar
Malaysia
Mazedonien
Mexiko
Mongolei
Neuseeland
Niederlande
Nigeria
Norwegen
Pakistan
Palästina
Peru
Philippinen
Polen
Portugal
Republik Moldau
Rumänien
Russische Föderation
Schweden
Senegal
Serbien
Singapur
Slowakische Republik
Spanien
Sri Lanka
Südafrika
Südkorea
Tadschikistan
Taiwan
Thailand
Togo
Tschechien
Tunesien
Türkei
Uganda
Ukraine
Ungarn
Uruguay
USA
Usbekistan
Venezuela
Vereinigte Arabische Emirate
Vietnam
Zypern

TestDaF-ინსტიტუტის საკონტაქტო ინფორმაცია:

Gesellschaft für Akademische Studienvorbereitung
und Testentwicklung e. V.
TestDaF-Institut, Bochum

kontakt@testdaf.de
www.testdaf.de
www.facebook.com/TestDaF

მინიჭებული წევრობა:

ALTE-სა და EALTA-ს წევრი
ITC-სა და EAQUALS-ის ასოცირებული წევრი

ფოტო გარეკანზე: © zang bo/E+/Getty Images

georgisch